საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030107231071618

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/18114 **27 / მარტი / 2018 წ.**

ავსტრიის პოლიციის ატაშეს ოფისის
მეკავშირე ოფიცერს კარლჰაინც გორტანოს

ბატონო გორტანო,

თქვენი 2018 წლის 19 მარტის N0258/2018 წერილის პასუხად, წარმოგიდგენთ ინფორმაციას, ფრაგილური X-სინდრომით დაავადებული 5 წლის ასაკის ბავშვის სამედიცინო ისტორიის შეფასებასთან და საქართველოში შესაძლო არსებული მკურნალობისა და მოვლის შესაძლებლობებთან დაკავშირებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში:

1.ფრაგილური X სინდრომი - FXS წარმოადგენს გენეტიკურ დაავადებას, რომელიც შესაბამისი მეთვალყურეობისა და ადეკვატური მართვის პირობებში არ წარმოადგენს სიცოცხლისთვის საშიშ ნოზოლოგიას;

2.სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა FXS-ის დროს არ არის კომპრომიტირებული, ვინაიდან, ჩვეულებრივ, ამ დაავადებას არ ახასიათებს სიცოცხლისთვის საშიში კონდიციები;

3.საქართველოში არსებობს ცენტრები, სადაც შესაძლებელია აღნიშნული პათოლოგიის მქონე პირებისთვის შესაბამისი სერვისისა და თერაპიული მომსახურების მიწოდება. მსგავსი ტიპის ცენტრებია: „პირველი ნაბიჯი“ (თბილისი, ლუბლიანას ქ. N21ბ), „კამილიელების სარეაბილიტაციო ცენტრი (თბილისი, თემქა, ანაპის 114 დივიზიის ქ. N11) და სხვა.

რაც შეხება სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ფრაგილური X სინდრომით დაავადებულთათვის არსებულ ბენეფიტებს, გაცნობებთ, რომ:

4.ფრაგილური X სინდრომით, იგივე ,,მსხვრევადი X ქრომოსომის სინდრომით“ (Q99.2.) დაავადებული ბავშვებისთვის „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ხორციელდება „ბავშვთა ადრეული განვითარების“ ქვეპროგრამა, რომლის ამოცანაა ადრეული ინტერვენციის მომსახურების მიწოდების გზით შეზღუდული შესაძლებლობის, განვითარების დარღვევის ან ასეთი რისკის მქონე ბავშვების განვითარების სტიმულირება, სკოლამდელ ან ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა, ბავშვისა და ოჯახის გაძლიერება, შესაძლებლობის შეზღუდვისა და მიტოვების პრევენცია. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს განეკუთვნებიან დაბადებიდან 7 წლამდე ასაკის ბავშვები (7 წლის შესრულების თვის ჩათვლით), რომლებსაც აქვთ პედიატრის/ოჯახის ექიმის, ნევროლოგის ან სხვა ექიმ-სპეციალისტის მიერ გამოვლენილი განვითარების ეტაპების დაყოვნება (მსხვილი და ნატიფი მოტორიკის, კომუნიკაციისა და მეტყველების, სოციალურ-ემოციური და კოგნიტური სფეროების განვითარების და ადაპტური ქცევის პრობლემა), შეზღუდული შესაძლებლობა ან ამ მხრივ რისკი, რაც დადასტურებულია ამავე პროგრამის დანართით განსაზღვრული ICD-10-ის დიაგნოზებით, მათ შორის - ,,სხვა ქრომოსომული დარღვევები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა კლასიფიკაციებში (Q99.0 – Q99.9)“.

5.ზემოაღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ასევე, ხორციელდება დღის ცენტრების ქვეპროგრამა, რომლის ბენეფიციარებსაც წარმოადგენენ 6-დან 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები. იმ შემთხვევაში, თუ ფრაგილური X სინდრომის მქონე 6 წლის ზემოთ ასაკის ბავშვს ამ დაავადების საფუძველზე დადგენილი აქვს შშმ ბავშვის სტატუსი, მაშინ იგი სურვილის შემთხვევაში, ისარგებლებს დღის ცენტრების მომსახურებითაც.

პატივისცემით,

ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი



სოფიკო ბელქანია